CLINICS-OUT-20-0507-01
7 მაისი, 2020 წელი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს,
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

მოგმართავთ 2020 წლის 5 მაისს ჩატარებული პირველადი ჯანდაცვის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. გვსურს რამდენიმე საკითხის დაზუსტება და ჩვენი პოზიციის დაფიქსირება. კერძოდ,

1. ავტომატური გადამაგრების საკითხი, დადგენილების მიხედვით:

"**მუხლი 23, პუნქტი 52:**
ე) იმ დაწესებულებებში რეგისტრირებული ბენეფიციარების მოძრაობის მართვას, რომლებიც, 2020 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, ვერ აკმაყოფილებენ ამ დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირობებს, უზრუნველყოფს განმახორციელებელი. კერძოდ, **განხორციელდება ბენეფიციარების ავტომატური გადამაგრება გეოგრაფიულად ახლოს მყოფ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებებში**. ამასთან, აღნიშნულ ბენეფიციარებს 2 თვის შემდეგ მიეცემათ გეგმიური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად საჭირო რეგისტრაციისთვის თავისუფალი არჩევანის გაკეთების უფლება;"

სხდომაზე გაჟღერდა, რომ გადანაწილება უნდა მოხდეს ბენეფიციარების ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის მიხედვით, რაც ჩვენი შეფასებით, აუცილებლად საჭიროებს დამატებით განხილვას და შეფასებას, გიზიარებთ ჩვენს არგუმენტაციას:

1) ჩვენი აზრით, ეს გადაწყვეტილება არ არის თანხვედრაში დადგენილების ჩანაწერთან, რომლის მიხედვით, იმ დაწესებულებებიდან, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ რაოდენობრივ პირობას, განხორციელდება ბენეფიციარების გადამაგრება გეოგრაფიულად ახლოს მყოფ სამედიცინო დაწესებულებაზე, ანუ, ჩვენი ინტერპრეტაციით, იგულისხმება სამედიცინო დაწესებულებების სიახლოვე და არსად არ არის განსაზღვრული, რომ გეოგრაფიული სიახლოვე რაიმე კუთხით უკავშირდება პაციენტის ფაქტობრივ მისამართს.
2) მეორე მხრივ, ვთლით, რომ მხოლოდ ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე ორიენტირება არ ითვალისწინებს ბენეფიციარების ინტერესებს, რადგან პრაქტიკიდან გამომდინარე, ხშირია შემთხვევები, როდესაც, ბენეფიციარების რეგისტრაცია არ ხდება საცხოვრებელი მისამართის მიხედვით, მაგალითად, იმ შემთხვევებში, როცა მოსარგებლისთვის უფრო მოსახერხებელია სამედიცინო სერვისების მიღება სამსახურის/საქმიანობის მისამართთან ახლოს.
3) ვთლით, რომ ამ გადაწყვეტილების აღსრულება ტექნიკურად ძალიან გართულდება და ბევრ დროს საჭიროებს, რადგან ფაქტობრივი მისამართის დეტალები სახელმწიფო პორტალზე არ რეგისტრირდება, ხდება მხოლოდ რეგიონის, მუნიციპალიტეტის და დასახლებული პუნქტის მითითება, შესაბამისად, სახელმწიფო პორტალზე მხოლოდ რეგისტრაციის (იურიდიული მისამართი) იძებნება/რეგისტრირდება, რაც არ და ვერ იქნება გამოყენებული ფაქტობრივი მისამართის პრინციპით ბენეფიციართა გადამაგრებისთვის.

ამ არგუმენტაციის საფუძველზე ჩვენ ვთლით, რომ ავტომატური გადამაგრემა უნდა მოხდეს ახლომდებარე სამედიცინო დაწესებულებაზე.

ამავე საკითხთან მიმართებაში, ასევე, გვაინტერესებს თქვენი შეფასება თუ რა ვადაში დასრულდება ბენეფიციარების ავტომატური გადამაგრება. ჩვენი აზრით, გარდამავალი პერიოდი უნდა იყოს უმოკლესი,

სს ევექსის კლინიკები ს/კ 405327427
დიდუბის რაიონი, დიდი დიღომი-გლდანის შემაერთებელ მაგისტრალსა და
ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე. (ნაკვ. 4/77) / თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ., N142. 0159
თბილისი, საქართველო

ტელ.: + 99532 2 55 05 05
www.evex.ge

ბენეფიციარებისთვის დროული და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით.

2. მეორე საკითხი უკავშირდება გამონაკლისს #3, რომელიც დაშვებულია ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. ჩვენ დეტალურად გავიარეთ გამონაკლისში მოხვედრილი თითოეული სამედიცინო დაწესებულების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და გამოვყავით რამდენიმე სამედიცინო დაწესებულება, რომელთა ტერიტორიული ხელმისაწვდომობა საჭიროებს დამატებით განხილვას. ცხრილში იხილეთ ჩვენს მიერ გამოყოფილი სამედიცინო დაწესებულებები:

#	გამონაკლისი #3	მისამართი	ახლოსმდებარე კლინიკა	მანძილი	რაოდ.
1	შპს "მკურნალი"+	ქ.თბილისი, ვარკეთილი 3, მ/რ 1, კორპ. 16ა.	შპს "მედისონ ჰოლდინგი"	2.1 კმ	4,063
			სს "ევექსის კლინიკები"	1.8 კმ	
2	შპს "ქ. თბილისის № 11 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი"	თბილისი, ვარკეთილი 3, I მ/რ, კორპ.17	შპს "მედისონ ჰოლდინგი"	2.1 კმ	6,820
			სს "ევექსის კლინიკები"	1.8 კმ	
3	კომანდიტური საზოგადოება "შპს N4 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი და დანელია"	თბილისი, ვარკეთილი 3; N1 მ/რ; მე-16ა კორპუსი	შპს "მედისონ ჰოლდინგი"	2.1 კმ	1,976
			სს "ევექსის კლინიკები"	1.8 კმ	
4	შპს "ვარკეთილის სამკურნალო ცენტრი"	ვარკეთილი 3 1მ/რ კორპ.33 ბ3	შპს "მედისონ ჰოლდინგი"	2.1 კმ	641
			სს "ევექსის კლინიკები"	1.8 კმ	
5	შპს "დასტაქარი - XXI"	ვარკეთილი 3 მე4 მ/რ კ408 ბ3	შპს "მედისონ ჰოლდინგი"	2.1 კმ	560
			სს "ევექსის კლინიკები"	1.8 კმ	
				სულ:	**14,060**

ამასთან ვფიქრობთ, ერთიანი და გამჭირვალე მიდგომისთვის, ეფექტური იქნება ტერიტორიული ხელმისაწვდომობის შეფასებისთვის კონკრეტული საზომების შემოღება, მაგალითად, დაშვებული მაქსიმალური კილომეტრაჟი ან მგზავრობის დრო.

3. სამწუხაროდ, სხდომის დროს, ტექნიკური ხარვეზის გამო ვერ მოვისმინეთ პასუხი შემდეგ გამონაკლისთან დაკავშირებით და, გთხოვთ, წერილობით გვაცნობოთ თქვენი მოსაზრება:

- **გამონაკლისი #4:** დადგენილების ამოქმედებამდე ორ ლოკაციაზე არსებული დაწესებულებები - ამ გამონაკლისის შინაარსი საჭიროებს განმარტებას, რადგან არ შეესაბამება დადგენილებით განსაზღვრული გადანაწილების გეოგრაფიულ პრინციპს, ერთი იურიდიული პირის ქვეშ არსებული სამედიცინო დაწესებულებები, რომელთა გეოგრაფიული ლოკაცია ვერ უზრუნველყოფს ამ პრინციპის დაცვას, ჩვენი აზრით, გამონაკლისის საგანს არ უნდა წარმოადგენდეს.. ეს მიდგომა, პირდაპირ ეწინააღმდეგება დადგენილების მე-4 მუხლს, მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების განსაზღვრის შესახებ, კერძოდ "ვ" პუნქტის მიხედვით, მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების განსაზღვრა ხდება ასეთი მომსახურების გაწევის ფაქტობრივი მისამართის მიხედვით და „ვ.ა" პუნქტის მიხედვით მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებას 2020 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, რეგისტრირებული უნდა ჰყავდეს 13000 და მეტი ბენეფიციარი (დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით ვიზიარებთ გამონაკლისებს ზღვრულად 7000 ბენეფიციარზე).

გთხოვთ, თქვენი მოსაზრება გვაცნობოთ წერილობითი ფორმით.

პატივისცემით,
გიორგი გორდაძე
სს „ევექსის კლინიკების" დირექტორი

სს "ევექსის კლინიკები" • JSC "EVEX CLINICS" • კანცელარია №01 • 405327427

სს ევექსის კლინიკები /405327427/
საქართველო, თბილისი,დიდუბის რაიონი,დიდი დიღომი,გლდანის შემაერთებელ მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე, (ნაკვ.4/77) / აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, #142
+995 32 2 55 05 05 www.evex.ge